

# ახალი თაობა



ღუშთის საკრებულოს თავმჯდომარე „ქართული ოცნება“ ღაბოძა



გიორგი ლაფანაშვილი პაატა ბურჭულაძესთან წავიდა

24 მაისიდან

ერის მარია რემარკი  
**ტრიუმფალური თალი**  
ოქროს ბიბლიოთეკა  
ტომი 4  
ფასი  
გაზეთთან  
ერთად  
11 ლარი

სამშაბათი, 24 მაისი, 2016

№121 (7047)

ფასი: 50 თეთრი

## გია ხუნიაშვილი: „ქართულ ოცნებაში“ პოლიტიკურად არავინ აზროვნებს“



გვ. 3

„ნაციონალების მიზანია არა გამარჯვება, არამედ „ოცნების“ წაგება“



ღავით ბაქრაძე: „ჩვენ შურისძიებას არ ვაპირებთ“



გვ. 4



გვ. 2

კვირიკაშვილი: „არჩევნების შედეგები მუშტი-კრივით არ უნდა გადაწყდეს“

ჩვენ უნდა ვიყოთ მოწოდების სიმალლეზე, რომ არ ვუბასუხოთ არანაირ პროვოკაციას. ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობის საკითხი და ასეთი შემთხვევები აღარ უნდა განმეორდეს.



გვ. 2


ანზორ წონაძე: „ქართველების ეთნიკური ნაწილი ბრძელდება“



გვ. 4

გურამ შარაძის მკვლელის საქმეს ხელახლა იძიებენ

რუსუდან შარაძე: „მონმე ხელს ადებს დათა ახალაიას დაჯგუფებას მეგის ქარდავას ხელმძღვანელობით“



კახა მიქაია: „ქართულმა ოცნებამ“ ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე გალანა“

„ბოკერიას პროვოკაცია არ უნდა მოაწყობინო“



გვ. 3

„სომეხები აფხაზეთში კულტურულ ავტონომიას მოითხოვენ“

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა  
**ქართული იდეა**



გვ. 5

ISSN 1987-9385  
9 771987 938006



# კვირიკაშვილი: „არჩევნების შედეგები მუშტი-კრივით არ უნდა გადაწყდეს“

ნათია სურცილავა



გუშინ, 23 მაისს, პრემიერმა კვირიკაშვილმა კომენტარი გააკეთა 22 მაისს, სამეგრელოში, სოფელ კორცხელის საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ნაციონალური მოძრაობის ლიდერების, გიგა ბოკერიას, ნიკა მელიასა და თენგიზ გუგუშვილის ფაქტზე.

პრემიერი აცხადებს, რომ ის, რაც მოხდა სამეგრელოში, მიუღებელი და დაუშვებელია.

– მომავალში უფრო მეტი მობილიზაცია იქნება საჭირო სამართალდამცავების მხრიდან, რათა ასეთი ინციდენტები აღარ განმეორდეს. ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადავშალოთ ფურცელი, როდესაც არჩევნები ტარდებოდა ძალადობით. მუშტი-კრივით არ უნდა გადაწყდეს, მოსახლეობამ ვინ უნდა აირჩიოს საქართველოს სამართავად. ეს არის დასავლეთი ინციდენტი, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მისი თქმით, ეს ინციდენტი უნდა იქნას გამოძიებული და დამნაშავეები დაისჯონ.

– სახელმწიფოს ლიდერების საკითხი იქნება, რომ ჩვენ ჩავატაროთ მშვიდობიანი არჩევნები და ჩვენს თანამოქალაქეებს მივცეთ საშუალება, მშვიდობიან გარემოში, ყოველგვარი ძალადობის გარეშე მისცენ ხმა მათ რჩეულს, – აღნიშნა ბ-მა კვირიკაშვილმა.

ყურნალისტებს აინტერესებდათ, იყვნენ თუ არა დაპირისპირებაში ჩართული ის სპორტსმენები, რომელთაც, ნაციონალურების თქმით, „ქართული ოცნება“ აფინანსებს და შემდეგ დაპირისპირებისთვის იყენებს.

– ეს არის სრული აბსურდი, არანაირი

დაფინანსება სპორტსმენების ჩვენი მხრიდან არ ხდება, – განაცხადა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილმა ასევე ყურნალისტებს განუცხადა, ხელისუფლება უნდა იყოს მონოპოლიზირებული, რომ არ უპასუხოს არანაირ პროვოკაციას, რაოდენ გამომწვევიც არ უნდა იყოს ოპონენტების ქმედებები.

– ჩვენ უნდა ვიყოთ მონოპოლიზირებული, რომ არ ვუპასუხოთ არანაირ პროვოკაციას. ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობის საკითხი და ასეთი შემთხვევები აღარ უნდა განმეორდეს. როგორც პრევენციის, ასევე უკვე მომხდარზე გამოძიება არის აუცილებელი, რათა მომავალში ასეთი ინციდენტები თავიდან ავიცილოთ, – აღნიშნა პრემიერმა.

კორცხელის მოვლენებს ვიცე პრემიერი, კახა კალაძე გამოეხმაურა.

– მოახდინეთ თუ არა თქვენ სპორტსმენების მობილიზება?

ყურნალისტების ამ კითხვას კახა კალაძემ ასე უპასუხა:

– სასაცილოა, არ ვიცი, რამდენად სერიოზულად უნდა ვუპასუხო ამ ბრალდებას. პირადად მე და პარტია „ქართული ოცნება“ ვგმობთ იმას, რაც 22 მაისს მოხდა. კატეგორიულად მიუღებელია ეს პირადად ჩემთვის, რადგან პირადად მაქვს გამოვლილი ასეთი სიტუაციები, როცა ქვევს გვესროდნენ და არ დაეუშვებ, იგივე განმეორდეს ჩვენი ოპონენტების მიმართ. კალაძემ აღნიშნა, რომ მძიმე საყურებელი კადრები იყო, რაც ვნახეთ.

– დაწყებულია მოკვლევა და არ აქვს მნიშვნელობა, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი იქნება თუ ნაციონალური მოძრაობის, ყველა უნდა აგოს პასუხი კანონის წინაშე. საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს მუშტი ანგარიშსწორება, – განაცხადა ბ-მა ვიცე-პრემიერმა.

– ვინ იყვნენ იქ მყოფი სპორტსმენები?

ამ კითხვას კალაძემ ასე უპასუხა:

– როგორც ნაციონალური მოძრაობის და მის ლიდერებს, გიგა ბოკერიას, ნიკა მელიას და სხვებს ახლდნენ თავიანთი მხარდამჭერები, ისე „ქართული ოცნებას“ ჰყავდა თავისი მხარდამჭერები. ეს საარჩევნო პროცესში ნორმალურია. ხდება მხარდამჭერების მობილიზება, გამხსნევა, ეს სიახლე არ არის, თუმცა ფაქტი, რომელიც მოხდა, პირადად ჩემთვის მიუღებელია. ეს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას უშლის ხელს



და ყველამ ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ ასეთი ფაქტები არ განმეორდეს.

\*\*\*

სოფელ კორცხელში განვითარებულ მოვლენებზე კომენტარი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა იან კელიმაც გააკეთა.

ელჩი კორცხელში განვითარებულ მოვლენებს შემაშფოთებელს უწოდებს. მისი განცხადებით, დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური ძალადობა დაუშვებელია.

– ასეთი სახის ძალადობა აუცილებლად უნდა შეწყდეს. დემოკრატიულ საზოგადოებაში ასეთ მოვლენებს ადგილი არ აქვს, განსაკუთრებით არჩევნების წელს, – განაცხადა აშშ-ის ელჩმა.

## კახა მიქაია: „ქართულმა ოცნებამ“ ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე გალახა“

### „ბოკერიას პროვოკაცია არ უნდა მოაწყობინო“

შორენა მარსაგიშვილი



კორცხელის ინციდენტი „ქართული ოცნებაში“ დიდი დაპირისპირების მიზეზი გახდა. ამ არეულობის გამო შენიშვნა პარტიის ლიდერებმა ბიძინა ივანიშვილისგან მიიღეს. ყველაზე საინტერესო ამბავი კი მინც ზუგდიდში მოხდა.

მოგესხენებათ, რომ კორცხელში არჩევნები, დიდი ცემა-ტყეპის მიუხედავად, ნაციონალურების კანდიდატმა ვარაუდებული ლაშხაში მოიგო.

ამან, ბუნებრივია, „ქართული ოცნება“ განაწყენა და ზოგიერთმა მათგანმა დამნაშავეებისთვის სამაგიეროს გადახდა გადაწყვიტა. დიდი მსჯელობის შემდეგ დამნაშავედ ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე შერაცხეს და მას ფიზიკურად გაუსწორდნენ.

– „ქართული ოცნების“ წევრები გვიან ღამით მიუვარდნენ ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე ლაშა გოგიას, სულ ნაციონალი ეძახეს და ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენეს. ეს იყო გაგრძელება იმ ცემა-ტყეპისა, რასაც კორცხელში ჰქონდა ადგილი, – განაცხადა „ახალ თაობასთან“

საუბარში ზუგდიდის საკრებულოს ყოფილმა წევრმა კახა მიქაიამ.

მისი განცხადებით, 22 მაისმა ყველას დანახა, რომ „ქართული ოცნება“ სერიოზული პრობლემების წინაშე დგას. მიქაიას მტკიცებით, ყველაზე მეტი პრობლემა ხელისუფლებას შესაძლოა სამეგრელოში შეექმნას.

საკრებულოს ყოფილი წევრის განცხადებით, ხელისუფლება ისე დაბეჩავდა, რომ ბოკერიას პროვოკაციაზეც კი წამოეგო.

– სამწუხაროა, რომ გიგა ბოკერიას მიეცა საშუალება, „ქართული ოცნება“ პროვოკაციაზე წამოეგო, რაშიც მას თავად „ქართული ოცნება“ დაეხმარა. ბოკერიას პროვოკაციაზე წამოგებული „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მართლაც საცოდავად გამოიყურებოდა. მათი ლიდერების მხრიდან არსებული სიტუაციის შეფასებამ კი არაკომპეტენტური არაა, არაკვალიფიციური და არაპროფესიონალიზმის ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, – აღნიშნა ჩვენთან საუბარში მიქაიამ.

მისი თქმით, ხელისუფლებას ნორმალური კანდიდატი რომ შეერჩია, კორცხელში არჩევნებს არ წააგებდა. ის ხელი-

სუფლებას ურჩევს, რომ სხვა დროს კანდიდატების შერჩევისას მეტი პატივისცემა გამოიჩინოს ამომრჩევლის მიმართ.

– მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართო „ქართული ოცნებას“, ბატონებო, გაუფრთხილდით ქვეყნის იმიჯს, სერიოზულად მოემზადეთ საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულ და მშვიდ გარემოში ჩასატარებლად და, რაც თავიდან, ნაციონალურების მიერ პოლიტიკურ სანაგვეზე გადაგდებულ პირებს ნუ ამოიღებთ სანაგვედ და ნუ აქცევთ მათ თქვენს მაჟორიტარებად და ეგრეთწოდებულ ახალ სახეებად, ამით თქვენ საკუთარ ამომრჩევლებს შეურაცხყოფთ, – აცხადებს საკრებულოს ყოფილი წევრი.

აღსანიშნავია, რომ კახა მიქაიამ ცოტა ხნის წინ გაავრთხილა ხელისუფლებას, რომ კორცხელში არჩევნებს წააგებდნენ. ამის მიზეზად მან შერჩეული კანდიდატი დაასახელა.

კორცხელში „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარად ამირან ლაგვილაძე წარადგინა, რომელიც, კახა მიქაიას მტკიცებით, ნაცმოძრაობის წევრი იყო. მიქაიამ ამის დამადასტურებლად ლაგვილაძეს პარტიული წარადგინა.

ლაგვილაძეს თანაპარტიელობის ამბავი არც ნაცმოძრაობაში უარყვეს. იმ დროს, როცა ლაგვილაძე კანდიდატად წარადგინეს, მას ნაცმოძრაობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა დატოვებული.

ნაცმოძრაობასთან მჭიდრო კავშირი კატეგორიულად უარყო თავად ლაგვილაძემ. მან აღნიშნა, რომ ის ნაციონალი არ იყო და უბრალოდ მხარს უჭერდა იმ პარტიას.

– უამრავი წესიერი და პატრიოტი იყო ზუგდიდში, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ ნაციონალი არჩია და საკადრისი პასუხიც მიიღო ამომრჩევლისგან, – აღნიშნა „ახალ თაობასთან“ საუბარში მიქაიამ.

## დუშეთის საკრებულოს თავმჯდომარე „ქართული ოცნება“ ღატოვა

### გიორგი ლაფანაშვილი პაატა ბურჭულაძესთან წავიდა

შორენა მარსაგიშვილი

„ქართული ოცნება“ თვითმმართველობებზე კონტროლს ნელ-ნელა კარგავს. რამდენიმე რეგიონში მათ საკრებულოებში უმრავლესობა დაეშალათ. ამერიკაში კი ოპოზიციამ გორში საკრებულოს თავმჯდომარეს იმპიჩმენტი მოუწყო.

ანალოგიური პროცედურა მისალოდნელი დუშეთის საკრებულოშიც. ოღონდ ამჯერად იმპიჩმენტის ინიციატორი „ქართული ოცნება“ იქნება.

საქმე ის გახლავთ, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ლაფანაშვილი, „ქართული ოცნება“ დატოვა და პაატა ბურჭულაძის პოლიტიკურ მოძრაობას შეუერთდა.

განცხადება ამის შესახებ ლაფანაშვილმა „მომრაობა – სახელმწიფო ხალხისთვის“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

ლაფანაშვილი ბოლო ხანებში ხელისუფლების წევრებისგან განსხვავებულ პოზიციებს აფიქსირებდა და რაიონის გამგებელსაც სწორად აკრიტიკებდა. ამის მიუხედავად, „ქართული ოცნებაში“ არავის ეგონა, თუ ის პარტიიდან წავიდოდა.

წასვლა არც ლაფანაშვილს უნდოდა, მაგრამ უყურა რა მშობლიურ პარტიას, დაასკვნა, რომ ისინი წინამორბედებს დაემსგავსნენ. პარტიიდან წამოსვლის კიდევ ერთ მიზეზად ლაფანაშვილი იმედგაცრუებას ასახელებს.

– მე გადავწყვიტე დაეტოვო პარტია „ქართული ოცნება“ და ჩემი მომავალი პოლიტიკური საქმიანობა დაეუკავშირო პაატა ბურჭულაძის მოძრაობას „სახელმწიფო ხალხისთვის“. ჩემი გადაწყვეტილების მიზეზი გახდა ის, რომ საქართველოს მოსახლეობა, ქართველი ხალხი და პირადად მე წლების განმავლობაში რისთვისაც ვიბრძოდით და დაპირებები, რისთვისაც გავერთიანდით „ქართული ოცნებაში“, სამწუხაროდ, ვერ, ან არ შესრულდა.

რაც შეეხება ბატონი პაატა ბურჭულაძის მოძრაობას, ვედავ და დარწმუნებული ვარ, რომ ის შეძლებს იმ პრობლემების მოგვარებას, რაც არსებობს დღეს ქვეყანაში და მის გარეთ, რაშიც მსურს, შევიტანო ჩემი მოკვანალებული წვლილი, – განაცხადა გიორგი ლაფანაშვილმა.

მართალია, პარტიიდან წავიდა, მაგრამ თანამდებობის დატოვებას არ აპირებს. „ქართული ოცნებაში“ მისი იმპიჩმენტის საკითხი უკვე აქტიურად განიხილება. თუმცა დუშეთმა მეოცნებეებმა საჭირო სხვისი უქონლობის გამო, შესაძლოა ეს ოცნება ვერ აისრულოს.

„ქართული ოცნების“ რიგების დატოვებას საკრებულოს რამდენიმე დეპუტატიც აპირებს. დუშეთის საკრებულოში ლაფანაშვილის მიერ „ოცნების“ უარყოფავ კომენტარების გაკეთებას ერიდებიან. დუშეთში კი ხუმრობენ, ლაფანაშვილს სიმღერა უყვარს და ამიტომაც გადავიდა მსოფლიო ბანთანო.

**ახალი თაობა**

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოლო გოგინაშვილი  
 მთავარი რედაქტორი – სოლო გოგინაშვილი  
 რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი  
 რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. №50, მე-3 სართული.  
 ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91  
 ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru  
 რედაქციაში შემოსული მასალები არ რეგულირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

კონსულტანტები: ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი, საფინანსო სამსახური – კლარა ბალაშაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55  
 გაფრთხილების სამსახური – მერაბ ლევინაშვილი  
 დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკავალდონება – ინგა დვალისვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქიქაშვილი

# გია ხუხაშვილი: „ქართულ ოცნებაში“ პოლიტიკურად არაპინ აზროვნებს

## „ნაციონალების მიზანია არა გამარჯვება, არამედ „ოცნების“ წაგება“

ინონა ცაბაძე

ქვეყანაში განვითარებულ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი გია ხუხაშვილი აუხსნებს.

– **ბატონო გია, რისი მხარეზე ხართ იყო საკრებულოს შუალედური არჩევნები, რომელმაც საკმაოდ რთულ ვითარებაში ჩაიარა. რა დაგანახა ამ დღემ?**

– რბილად რომ ვთქვათ, ხელისუფლებისთვის ძალიან შემაშფოთებელი შედეგებია და ეს ასახავს იმ ტენდენციებს, რაც დღეს რეალობაში გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ამომრჩეველი თავის უდიდეს უმრავლესობაში, უარს ეუბნება როგორც „ქართულ ოცნებას“, ასევე ნაციონალურ მოძრაობას. ანუ ის თვლის, რომ მას ჰყავს ცუდი ხელისუფლება და უარესი ოპოზიცია, ეს შუალედური არჩევნები იყო მოდელი ამ ორი პარტიის ურთიერთობის დემონსტრირების.

– **ეს რა პროცესებს განაპირობებს?**

– ჩემი აზრით, ეს კიდევ უფრო გაძლიერებს ამომრჩევლის დისტანცირებას ამ ორი პარტიიდან. შესაბამისად, „ქართული ოცნების“ პრობლემა გახლავთ ის, რომ ასეთ დაპირისპირებაშიც კი, მას ნაციონალურ მოძრაობასთან უჭირს მოგება.

– **კიდევ რა ხარვეზები გამოაჩინა ამ არჩევნებში?**

– არის კიდევ მნიშვნელოვანი ხარვეზი, ფაქტობრივად, „ქართული ოცნება“ უარს არ ამბობს იმ ინსტრუმენტების გამოყენებაზე, კრიმინალურ ზღვარზე მყოფ ქმედებებზე უკვე უარს არ ამბობს. მან გადმოიბარა ის ტექნოლოგიები, რის გამოც ჩვენ, ყველამ ერთად, ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებიდან გავიწყდურეთ.

– **იმის თქმა გინდათ, რომ ნაციონალების მეთოდებით მოქმედებენ?**

– ეს სახეზეა. ჩვენ ხომ პირადი პრობლემა არ გვექონდა სააკაშვილთან? ჩვენ სააკაშვილთან გვექონდა მურუსიძის პრობლემა, რომელიც იმას აკეთებდა სასამართლოში, რაზეც, სავარაუდოდ, დღესაც არ იტყოდა უარს. ჩვენ გვექონდა ზონდერების პრობლემა. ჩვენ მიშას სახელში და გვარში კი არ გვექონდა პრობლემა, ჩვენ გვექონდა პრობლემა იმ სისტემასთან, რომელიც შექმნეს.

– **დღეს ხელისუფლება ცდილობს იმ სისტემის მართვას იგივე ტექნოლოგიებით, იგივე მეთოდებით. მიუხედავად იმისა, რომ ლოზუნგებით გვეუბნებიან, რომ არა, ეს ასე არ არის, ჩვენ ვხედავთ, რომ დღევანდელი ხელისუფლება მძევლად აიყვანა სააკაშვილის სისტემაში.**

– **ნაციონალები დიდი ოვაციებით აღნიშნავენ ორ საარჩევნო ოლქში გამარჯვებას, ჩვენ სააკაშვილის განცხადებებიც მოვისმინეთ.**

– პრინციპში, ეს აღსანიშნავია. ეს მართლა მათი გამარჯვება იყო. სამწუხაროდ, ქვეყნის განვითარების, ქართული საზოგადოების საზიანოდ, მაგრამ პოლიტიკურად ნაციონალურ მოძრაობას აქვს საკმე საზეიმოდ. მიუხედავად იმისა, რომ 2012 წელს იმ რეჟიმს ამომრჩეველმა გამოუტანა ვერდიქტი, რადგან რეჟიმი ექვემდებარებოდა იყო ძალადობრივ დანაშაულში, როგორც ჩანს, ამომრჩევლის ნაწილმა მას ეს აპატივა, ჩათვალა, რომ არჩევანი უნდა გაეკეთებინა ცუდსა და უარესს შორის.

– **მერე და ამ ორში ვინ ცუდია და ვინ – უარესი?**

– ჩვენ მაინც იმედი გვექონდა, რომ ამ ნეგატიურ არჩევანში უარესად მაინც ნაციონალური მოძრაობა გამოიყურება, როგორც ჩანს, ამომრჩევლის ნაწილმა ჩათვალა, რომ „ოცნება“ კიდევ უფრო უარესია ნაციონალებზე.

– **ეს რამდენად საგანგაშო ტენდენციაა?**

– ძალიან საგანგაშოა! ხელისუფლებას რამდენიმე პრობლემა აქვს: ერთი, რომ ის პრობლემებს არ ხედავს ან ვერ ხედავს, მას სირაქლემის პოზიციაში ურჩევნია ყოფნა. აბსოლუტურად არაადეკვატურ კომენტარებს ვისმენთ. იქ, ოზურგეთში, რაღაცას ზეიმობენ. რა აქვთ საზეიმო ამ სიტუაციაში ხელისუფლებას, მე ეს ვერ გავიგე!

– **და მეორე, წმინდა მენეჯმენტის თვალსაზრისით, აბსოლუტურად უხარისხო შესრულება, პირდაპირ ნაჯახით არის ნამუშევარი.**

– **თავად გუნდში ვერ ხედავენ ამ პრობლემებს?**

– სერიოზული ეჭვი მაქვს, რომ ხელისუფლება ვერ დაინახავს ამ პრობლემებს და ჯიუტად გააგრძელებს ამ ინილი-ბინილოს, რომელიც სერიოზული კრიზისის ფორმირებით დასრულდება ამ ქვეყანაში.

– **რას შეიძლება ველოდოთ არჩევნებზე?**

– დღეს ბურთი არის დანარჩენი ოპოზიციის მოედანზე. დანარჩენმა ოპოზიციამ უნდა შეძლოს, რომ უპასუხოს ამომრჩევლის გემოვნებას. აჩვენოს ძალა. დღეს ამომრჩეველს არ მოსწონს არც ნაციონალური მოძრაობა და არც „ქართული ოცნება“. შესაბამისად, ამ კრიზისის პრევენციის ერთადერთი საშუალებაა, რომ ჩვენ შევძლოთ და მივიღოთ მულტიპარტიული ხელისუფლება. ეს არის ერთადერთი გამოსავალი.

– **თუ ჩვენ ამ ველზე დავტოვებთ ეს ორი პარტია, ფაქტობრივად, ერთმანეთის მსგავსი, მაშინ პოსტსაარჩევნო კრიზისი გარდაუვალია! ყველა პარტიას ფურჩვევები, რომ გააქტიურდეს და ის ძალაუფლება, რომელიც ამ ორმა პარტიამ ქუჩაში დატოვა, რაღაცნაირად მოახერხონ და ხელში აიღონ.**



ამომრჩეველი და არც ოპოზიცია. ამ შემთხვევაში რამდენად იზრდება ნაციონალური მოძრაობის შანსები?

– მე ძალიან კრიტიკულად ვუყურებ, რომ ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში დაბრუნებას მოახერხებს. მე ამ შესაძლებლობას არც კი ვეფიქსივარ. თუმცა, როგორც ჩანს, ნაციონალურ მოძრაობას შეუძლია იმ ვითარების უზრუნველყოფა, როდესაც „ქართული ოცნება“ წააგებს. მისი ამოცანა არ არის მოგება.

– **რა არის ნაცების ამოცანა?**

– „ქართული ოცნების“ წაგება. შედეგად თუ განდობა პოსტსაარჩევნო დასაპარლამენტო კოალიციების ფორმირებაზე. თუცა, როგორც ჩანს, უკვე ამ სცენარზე უნდა ფიქრობდნენ პოლიტიკური პარტიები და ფიქრობდნენ პოლიტიკური პარტიის ორების პოვნას. „ქართული ოცნებაში“ კი პოლიტიკურად არაფერი აზროვნებს.

– **რამდენად ისწავლის ხელისუფლება ამ შეცდომებზე და რამდენად გადააღაგებენ სიტუაციას?**

– „ქართული ოცნებაში“ ვერ ვხედავ ადამიანს, რომელსაც შეუძლია პოლიტიკური ანალიზის გაკეთება, პროგნოზირება და შესაბამისი გეგმის დადგენა. მე დღეს „ქართული ოცნებაში“ პოლიტიკოსი არ მეგულება.

– **კვირიკაშვილმა ვერ გაართვა თავი დაკისრებულ ვალდებულებებს?**

– კვირიკაშვილმა შეცდომა დაუშვა, მან არასწორად გამოიყენა ის კარტლანში, რაც მას „ქართულმა ოცნებამ“ და ბიძინა ივანიშვილმა მისცა. პარტიაში ინტეგრირების ნაცვლად, კვირიკაშვილისადმი გაუცხოება მოხდა. მას ცუდი სტარტი გამოუვიდა. ეს არ არის შეგნებული, მას უზრუნველცუდად ესმის ძალაუფლების ანატომია.

# ანზორ წონონავა: „ქართველების ეთნიკური წმენდა ბრძოლა“

## „სომხები აფხაზეთში კულტურულ ავტონომიას მოითხოვენ“

მარიამ მჭედლიშვილი

– სოფელ ხურჩაში აფხაზეთის რეჟიმის ე.წ. მესაზღვრის მიერ გიგა ოთხოზორიას მკვლელობა 1993 წელს დაწყებული ქართველების ეთნიკური წმენდის გაგრძელებაა.

– ასეთ შეფასებას აძლევს მომხდარს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარე ანზორ წონონავა. „ახალი თაობისათვის“ მიცემულ ინტერვიუში იგი აცხადებს, რომ ეთნიკური წმენდის აღიარების საკითხში თბილისის თანმიმდევრულობა და აქტიურობა რომ გამოეჩინა, აფხაზეთსა და მის მიმდებარე ასეთი მძიმე სიტუაცია არ იქნებოდა.

**ანზორ წონონავა:**

– ეთნიკური წმენდა აღიარეს ზოგიერთ საერთაშორისო ფორუმზე, მაგრამ ამას ვერ მივალნივთ გაეროში. გაეროს უშიშროების საბჭოში ამ საკითხს რუსეთი ბლოკავს. ჩვენ ძალისხმევა უნდა მივმართოთ რომის სასამართლოს, ანუ რომის სტატუსის მიმართ. ლეგიტიმურმა სტრუქტურებმა ამ თემაზე მასალები მოვამზადებთ. ქართველთა გენოციდი და ეთნიკური წმენდის შესახებ გამოიცა ბროშურები და წიგნები არა მარტო ინგლისურად და რუსულად, არამედ ესპანურად და ჩეხურადაც.

– **ხურჩის ინციდენტის შემდეგ ალაპარაკდნენ უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმებზე.**



### „აფხაზეთის ლეგიტიმურ სტრუქტურებს რუსეთის სპეცსამსახურები გვებრძვიან“

– საუბედუროდ, ასეთი მექანიზმები ვერც აფხაზეთში მოქმედებს და ვერც – შიდა ქართლში. რუსეთი და აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმი არ უშვებს იმას, რომ, მაგალითად, გალში იმუშაოს გაეროს წარმომადგენლობა. არადა, ეს აუცილებელია. ქართველებს ხომ ქართულად სწავლა აუკრძალეს! აფხაზეთში რთული მდგომარეობაა. სიტუაციას ართულებს ისიც, რომ სომხები მოითხოვენ კულტურულ ავტონომიას აფხაზეთში.

– **ჩვენი მოქალაქეების დაცვის რაიმე მექანიზმი ხომ უნდა იყოს?**

– ე.წ. საზღვარზე სიტუაციას ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ. ე.წ. მესაზღვრეები სხირად არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებიან და პირდაპირ სძალავენ თანხებს ჩვენს მოქალაქეებს. როგორც ჩანს, გიგა ოთხოზორიაც ამის მსხვერპლი გახდა. ეტყობა, ვერ მიიღეს დადგენილი ქრთამი, რასაც ეს საშინელი დანაშაული მოჰყვა.

– **აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების მიმართ კრიტიკა გამაძაფრდა.**

– ჩვენი არსებობით და მუშაობით ხელს ვუშლით რუსეთს და აფხაზეთის სეპარატისტებს. ამიტომ გვებრძვიან. ჩვენ კანონიერად, მთელი აფხაზეთის მთელი მოსახლეობის მიერ არჩეული ხალხი ვართ. ჩვენი ორგანოების ლეგიტიმურობა ურყევია. ამ ფონზე კიდევ უფრო ჩანს აფხაზეთის რეჟიმის უკანონო და არალეგიტიმურობა. აფხაზეთი, ერთ-ერთი სახელმწიფოს გარდა, არავის უღიარებია სახელმწიფოდ. ომის შემდეგ იქ ჩატარებული არჩევნებიც უკანონოა. აფხაზეთის საზოგადოებაში დიდი იმედგაცრუებაა. ხალხი მიხვდა, რომ ახლანდელი მდგომარეობა, რომელიც ემყარება რუსეთთან დადებულ მოკავშირეობის ხელშეკრულებას, ბუტაფორიაა და არა – დამოუკიდებლობა. ამ ხელშეკრულების გაფორმებით ხაჯიმბამ გააკეთა ის, რაც ვერ გახდებოდა არძინბამ, ბალაფშამ და ანჭაბამ.

– **ასეთი ხელშეკრულების ხელმოწერა სომხთან რუსეთს აძრევს ჰქონდა ჩაფიქრებული?**

– დიას, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ რუსეთს არ ჰქონდა აღიარებული აფხაზეთის დამოუკიდებლობა. არძინბა, ბალაფში და ანჭაბი რუსეთმა დასაჯა: არძინბა უუნარო გახდა, ბალაფში საექვო ვითარებაში გარდაიცვალა, ანჭაბის რევოლუცია მოუწყვეს. ახლა რუსეთი თავისი ხალხის საშუალებით ჩვენ გვებრძვის.

– **რუსეთის ხალხში ლეგიტიმური სტრუქტურები ოპონენტებს გულისხმობთ?**

– ცრუ ოპონენტებს – ორგანიზაციას „აფხაზთა კრებას“, ასევე ჯორჯ კვარაცხელიას „ლაზარეს“ და რამდენიმე დეპუტატს უმაღლეს

სი საბჭოდან.

– **„ლაზარე“ ხომ პოეტმა რეზო ამაშუკელმაც დააარსა?**

– დიას. ეტყობა, ამ პირებს საზოგადოების შეცდომაში შეყვანა სახელწოდებითაც უნდათ. ესაუბრონ ჯონი კვარაცხელიას „ლაზარეზე“, რომელიც არ არის კავშირში რეზო ამაშუკელთან. ეს პირები სეპარატისტულ განწყობებს გავარდნივენ და შემოაქვთ აბსურდული წინადადებები. მაგალითად, მთავრობის დამტკიცება ხმათა ორი მესამედით.

ჩვენ მოგვყავს შესაბამისობაში ჩვენი კანონმდებლობა საქართველოს კონსტიტუციასთან და კანონებთან. ამას გვედავებია. ეს ვითომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები ახერხებენ დევნილთა ნაწილის მოტყუებას, მათ კი ხმარს უბამს უმაღლეს საბჭოში შექმნილი ფრაქცია, რომელმაც დაირქვა „ქართული ოცნება“ – დემოკრატიული საქართველო“ მურმან კვარაცხელიას თავმჯდომარეობით.

მათ არ დაეთანხმა ვახტანგ ხმალაძე. ისინი გააკრიტიკეს ისეთმა იურისტებმა, როგორებიც არიან ოთარ ბენიძე, ვახტანგ გვარამია. ეს ხალხი მაინც თავისას ცდილობს. გარდა იმისა, რომ რუსეთის ინტერესებს ატარებენ, კვარაცხელიებსა და სხვებს უნდათ პირადი გამორჩენა და კორუფციაში ჩართვა. მათი მიზანია, აფხაზეთის მთავრობის დამტკიცება მათზე იყოს დამოკიდებული. ასე ისინი კარგად იგაჭრებენ. ამიტომ გაძლიერდა ჩვენზე თავდასხმები.



საპუბლიკო-სარეაბილიტაციო მასაჟი  
ერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსასხროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმატიული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩველ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, სერვისების დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმალ-ლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თავფიფი და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.  
555-02-32-08. ძალაბაძოვი ფიქრია



# დავით ბაქრაძე: „ჩვენ შურისძიებას არ ვაპირებთ“

## შორენა მარსაგიშვილი

საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ნაციონალური მოძრაობა წინასწარ ზეიმობს გამარჯვებას. საზეიმო განწყობას მათ 22 მაისს ჩატარებული არჩევნები უქმნის. 10 საარჩევნო ოლქში ნაციონალურ კანდიდატს ოთხგან კაცად წარდგინდა. ნასაკრალში და კორცხელში გამარჯვება მათმა კანდიდატებმა მოიპოვეს. პარტიის თვლიან, რომ ეს მათი დიდი გამარჯვების დასაწყისია.

გამარჯვებაში იმდენად არიან დარწმუნებული, რომ მათი საარჩევნო სიის პირველმა ნომერმა დავით ბაქრაძემ ერს დაპირებებიც კი მისცა. ის გვირგვინი, რომ არჩევნების მეორე დღიდან საქართველოში შეწყდება ძალადობა და წარსულს ჩაბარდება შურისძიება. – მიმანია, რომ ის, რაც 22 მაისს მოხდა ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში, იყო ძალიან დიდი შემობრუნების დასაწყისი საქართველოს მომავლისთვის, ვინაიდან გუშინ ქართველმა ხალხმა ძალიან მკაფიოდ უთხრა უარი ივანიშვილის რეჟიმს და უნათო ხელისუფლებას, რომელმაც თავი ვერაფრით დაამახსოვრა ამ ოთხ წელიწადში, ვერ გააკეთა ვერც ერთი საქმე, ვერ შესარვა ვერც ერთი დაპირება და ვერ მოავარა ვერც ერთი პრობლემა, რომელიც დღეს აწუხებს ჩვენს ხალხს.

22 მაისს მოხდა ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა, როდესაც ხელისუფლებამ მიიღო მკაფიო სიგნალი. ხელისუფლება, რომელიც არ ზრუნავს ხალ-

ხზე და არ აწუხებს ხალხს მომავალი, ასეთი ხელისუფლება საქართველოში დამარცხდება და მას მომავალი არ გააჩნია. ეს იყო 22 მაისის არჩევნების სიგნალი. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მომავლისთვის. ეს გამარჯვება დადასტურდა იმაშიც, რომ 4 შუალედური ოლქიდან, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ნაციონალური მოძრაობა, ჩვენ გავიმარჯვეთ 2 საარჩევნო ოლქში, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

22 მაისის გამარჯვებით დამტკბარმა ბაქრაძემ ერს ერთი პირადი დაპირებაც მისცა. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე გვირგვინი, რომ ნაციონალური მოძრაობა გამარჯვების შემდეგ არ აპირებს შურისძიებას.

– ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ნერტილი დავუსვით დაპირებისპირებას და მუშაობა დაიწყო. მე ვიცი, რომ დღეს ბევრ ადამიანს აწუხებს ეს კითხვა, როგორც ჩანს, ნაციონალური იგებენ ოქტომბერში და რა მოხდება ამის შემდეგ? ხომ არ დაიწყება ანგარიშსწორების ახალი ტალღა. მე მინდა, ვუთხრა თითოეულ ასეთ ადამიანს, მე პირადად და მთელი ჩვენი გუნდი ვართ გარანტი იმის, რომ ოქტომბერში ის სამარცხვინობა, ის სისასტიკე, რაც 22 მაისს ვიხილეთ, დასრულდება, – აღნიშნა საგანგებო ბრიფინგზე ნაციონალური მოძრაობის პირველმა ნომერმა.

ბაქრაძე იმდენად არის დარწმუნებული წარმატებაში, რომ უკვე იმ კა-



ნონპროექტებზე საუბრობს, რომელთა მიღებასაც მისიანები აპირებენ.

### დავით ბაქრაძე:

– პირველი ორი კანონპროექტი, რომლებსაც ჩვენ მივიღებთ გამარჯვების შემდეგ, იქნება კანონი პოლიტიკური შერიგების შესახებ და კანონი ბიზნეს ამნისტიის შესახებ, იმიტომ, რომ არ აქვს მნიშვნელობა, ვინ არის „ქართული ოცნების“ მომხრე, არ აქვს მნიშვნელობა, რომელი ბიზნესმენი აფინანსებს „ქართულ ოცნებას“, ჩვენ ყველა ვართ ერთი ქვეყნის შვილები. პოლიტიკური მოწინააღმდეგე უნდა მოუფრო პოლიტიკურად, ისე, როგორც ჩვენ გუშინ პოლიტიკურად დავამარცხეთ „ქართული ოცნება“, მაგრამ ქვეყნის შიგნით მტრები არ უნდა ვეძებოთ.

ჩვენ არ გვყავს მტრები, ჩვენ არ

ვაპირებთ შურისძიებას და ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ჩვენ ნერტილი დავუსვამთ ქვეყანაში ყველანაირ დაპირებისპირებას. ეს არის ჩემი მთავარი დაპირება ქართული საზოგადოების წინაშე, ჩემი პირადი დაპირება ქართული საზოგადოების წინაშე, რომ ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ქვეყანაში შეწყდება ძალადობა, შეწყდება შურისძიება და ჩვენ ყველა ერთად წავალთ გამთლიანებული, გაერთიანებული, ფეხზე დამდგარი საქართველოსკენ.

\*\*\*

მართალია, დავით ბაქრაძე გვირგვინი, რომ შურისძიებაზე უარს იტყვიან, მაგრამ კორცხელის ინციდენტის დატოვებას ნაციონალური ასე არ აპირებენ. გუშინ, 23 მაისს, მათ პროკურატურას მიმართეს და გამოიძიება მოითხოვეს.

დეპუტატ თინა ბოკუჩავას მტკიცებით, მათ საგამოძიებო უწყებას სერიოზული მტკიცებულებები წარუდგინეს. – ჩვენ შევიტანეთ სარჩელი კონკრეტული სახელებით და გვარებით. ამ სარჩელში იდენტიფიცირებული არიან ის პირები, რომლებიც კახა კალაძემ მიუხედავად ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს. ჩვენ მოვითხოვთ დროულ და ეფექტურ გამოძიებას. მთავარი არის ის, რომ კორცხელის მოსახლეობამ ბიძინა ივანიშვილს უთხრა, რომ ვერანაირი ბანდიტები მათ ვერ დააშინებენ, – განაცხადა თინა ბოკუჩავამ.

კორცხელის ინციდენტთან დაკავშირებით გამოიძიება შინაგან საქმეთა სამინისტრომ 22 მაისს დაიწყო.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი აბესაძე შსს-ს გამოძიებას დიდად არ ენდობა. მისი თქმით, შსს-ს გამოძიება მსუბუქი მუხლით აქვს დაწყებული და ამიტომ ნაციონალური მოძრაობა მიმართავს პროკურატურას, გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის შესაბამისი მუხლებით.

– საზოგადოებამ ძალიან კარგად ნახა ორგანიზებულმა, ჯგუფურმა თავდასხმა პოლიტიკურ ლიდერებზე. ამ შემთხვევაში მოვისმინეთ ხელისუფლების განცხადება, რომ გამოიძიება მიმდინარეობს უხელოდ ცემის მუხლით და ეს ნიშნავს, რომ ამ ფორმით აპირებს წინასწარ ჩვენო კამპანიის წარმართვას „ქართული ოცნება“.

ჩვენ მოვითხოვთ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით გამოიძიებას. ეს არის პოლიტიკური თავდასხმების პირებზე თავდასხმა, ხულოცობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება. უნდა დადგინდნენ ორგანიზატორები იყო კალაძე და ხელი-სუფლება, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში აბესაძემ.

შსს-ს მსგავსად, მას არც პროკურატურის იმედი აქვს. ამის მიუხედავად, ამბობს, რომ საჩივრის შეტანა აუცილებელი იყო.

– მეჩვენება, პროკურატურამ ეს საქმე გამოიძიოს, თუმცა, განცხადების შეტანა აუცილებელი იყო სამართლებრივი პროცედურების დაცვისთვის და ხელისუფლების ლუსტრაციისთვის, – ამბობს აბესაძე.

## გურამ შარაძის მკვლელობის საქმეს ხელახლა იჩივან

### რუსუდან შარაძე: „მონმე ხელს ადებს დათა ახალაიას დაჯგუფებას მეგის ქარდავას ხელმძღვანელობით“

#### გულგოთ ბალაძე

საკაპავილის რეჟიმის ცვლილების შემდეგ, რუსუდან შარაძის დიდი ბრძოლის შედეგად, გურამ შარაძის მკვლელობის საქმე ხელახლა აღიძრა ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო. ახლად აღმოჩენილი გარემოება პოლიციის ჩვენება გახდა, რომელსაც თავის დროზე შეუკვეთეს გურამ შარაძის მოკვლა.

რუსუდან შარაძე აცხადებს, რომ გურამ შარაძის მკვლელობა სააკაშვილმა შეუკვეთა და განახორციელა დათა ახალაიას დაჯგუფებამ მეგის ქარდავას ხელმძღვანელობით. საქმის გამოძიებელია გიორგი ლომთაძე. საქმე საქართველოს მთავარი პროკურორის შოთაძის პირად კონტროლზეა.

– მამაჩემის მკვლელობიდან 9 წელი შესრულდა. გადავწყვიტე, აქცია მომეწყო – გამომეტანა მისი ტომეულები და მკითხველისთვის მეჩუქებინა, გამეხარებინა ის ადამიანები, ვისთვისაც ძვირფასია მამაჩემის სსოვნა. ვინც დღეს მოვიდა და გაიხსნა, ყველას უღრეს მადლობას ვუხდით, – განაცხადა რუსუდან შარაძემ.

– ქალბატონო რუსუდან, საქმის გამოძიების თვალსაზრისით წინვლდა თუ არის?

– სანამ გამოიძიება არ დასრულდება ან რაღაც კონდიციამდე არ მივა, არ მაქვს უფლება, რაღაც დეტალებზე ვილაპარაკო. ვერ გეტყვით, მამაჩემის მკვლელობასთან დაკავშირებით საბოლოოდ დასკვნა როდის დაიდება. თუმცა, იმედი მაქვს.

– ახლად აღმოჩენილი გარემოება, რის გამოც ხელახალი გამოიძიება დაიწყო, რა არის?

– საქმის ხელახალი ძიების დაწყების მიზეზია ახლად აღმოჩენილი გარემოება, კერძოდ კი, მონმის ჩვენება, რომელიც პირადად ადებს ხელს

დათა ახალაიას დაჯგუფებას მეგის ქარდავას ხელმძღვანელობით.

– ვინ არის ის პიროვნება, რომლისთვისაც მკვლელობის დეტალები ცნობილია?

– ის პიროვნება ყოფილი პოლიციელი, მეგის ქარდავას ყოფილი მარჯვენა ხელი და სპეცრაზმელია. მას უშუალოდ დაავალეს მამაჩემის მკვლელობა 9 წლის წინ, რომ ამ ადგილზე მამაჩემის მკვლელობა უნდა ჩაედინა. ამ მოწმემ დაავალა ამა შერსულა.

– სხვა მოწმეებიც არიან?

– რასაკვირველია. ათეულობით მონმეა, თვითმხილველი. მათ შორის, ძალიან სტრუქტურებში მომუშავე ადამიანები, რომლებმაც ძალიან კარგად იციან, რომ „შემსრულებელი“, ე.წ. მკვლელები გიორგი ბარათელი, რომელიც ციხეშია, იმ დროს საერთოდ არ იმყოფებოდა ამ ქუჩაზე. დიდ იმედს ვიტოვებ, ვეხვეწები მათ (რამდენი წელიც უნდა გავიდეს, ამის თხოვნა არ მომბეზრდება), გამოვიდნენ და თქვან სიმართლე. დღეს სამში აღარაფერია. მოყვენ, რა ნახეს 2007 წლის 20 მაისს.

– თქვენ განცხადებთ, რომ ბატონი გურამის მკვლელობა იყო სააკაშვილის შეკვეთა. ხომ არ უთქვამს მონმეს, მიზეზი რა იყო, სააკაშვილის რატომ უნდოდა გურამ შარაძის მოკვლა?

– არა, არ უთქვამს. მონმეს ეს ვერანაირად ვერ ეცოდინებოდა. ის ერთი ჭანჭიკია ამ საქმეში. ასეთ ჭანჭიკებს ამას არ უხსნიან. მონმეს არ უთქვამს, რომ მამაჩემის მკვლელობა სააკაშვილმა შეუკვეთა, მან ეს არ იცის. თუმცა, ზუსტად იცის, რომ დათა ახალაიას დაჯგუფებამ მეგის ქარდავას ხელმძღვანელობით მამაჩემის მკვლელობა დაგეგმა და შესარულა 9 წლის წინ, ამ ადგილზე.

– რას იტყვით ბარათელზე, რომელიც ფაქტობრივად, სააკაშვილის რეჟიმის მხვერვალია და გურამ შარაძის მკვლელობისთვის გასამართლებელია? თქვენ ყოველთვის აცხადებთ, რომ ის მკვლელები არ გახლდათ.

– ბარათელი ციხეში ზის, მაგრამ მალე ციხიდან გამოვა. მას შეეხო ყველაინარი ამნისტია. ძალიან მინდა მალე გამოვიდეს. ერთი სული მაქვს, როდის გამოვა, მაგრამ მისი ციხიდან გათავისუფლება არ ნიშნავს ამ ადამიანის რეაბილიტაციას. გიორგი ბარათელი აუცილებლად უნდა გამართლდეს სასამართლო წესით. მან უნდა დაიწყოს ახალი ცხოვრება. ყველაფერ უნდა იცოდეს, რომ ბარათელი არის უდანაშაულო. ყველაფერ უნდა შევწყნოთ ხელი, რომ ის დასაქმდეს, იყოლოს ოჯახი და იცხოვროს სრულფასოვნად. ათი წელი, რომელიც მან დაკარგა ტყუილად, რაღაც პროცენტით მაინც იყოს ანაზღაურებული.

– ბარათელს ხომ არ შეხვედრისართ?

– ამას ვერ გეტყვით.

– მთავარია, ის გადაჩრჩეს და სასამართლოზე მონმის სახითაც წარდგეს.

– დარწმუნებული ვარ, ის გადაჩრჩება და ყველაფერი კარგად იქნება.

## საქართველოში ტექნოლოგიური ინსტიტუტი იქმნება

### ბიძინა ივანიშვილი: „დადგა ჩვენი მეცნიერების ალორძინების დრო“

#### ნათია ხურცილაძე

იტალიის, შვეიცარიის, იაპონიისა და ავსტრიის შემდეგ, მსოფლიოში სიდიდით მეხუთე ტექნოლოგიური ინსტიტუტი საქართველოში დაარსდება.

გუშინ, 23 მაისს, საქართველოს ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. პროექტის წარმომადგენლები, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, მონველი სტუმრები და მსოფლიოს ცნობილი მეცნიერები ესწრებოდნენ.

საქართველოს ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დამფუძნებელი საქართველოს მთავრობაა. პროექტის ლიდერებია რამდენიმე ასულ მილიონ ევროს შეადგენს და მას მთლიანად საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ აფინანსებს. ასევე, ცნობილი გახდა, რომ ინსტიტუტის სტუდენტების სწავლასა და პარტნიორ ორგანიზაციებში მათ მივლინებებს სრულად დააფინანსებს ფონდი „ქართუ“.

ტექნოლოგიური ინსტიტუტის იდეა ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის შექმნას გულისხმობს. პროექტის მიზანია ახალი ტექნოლოგიური პროგრამების, აგრეთვე საქართველო კვლევების განხორციელება ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკის, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინჟინერიის მიმართულებით.

საფუძველი, რომ მეცნიერება ალორძინდეს. მოგეხსენებათ, მეცნიერება ძალიან დაბალ დონეზეა, თუმცა ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი ისტორია. გვყავდა და დღესაც გვყავს მსოფლიო მნიშვნელობის ქართველი მეცნიერები, მაგრამ მოგეხსენებათ, დამოუკიდებლობის შემდგომ, ბოლო მეცნიერების შემდგომ, როდესაც ვივითარდებოდით.

მეცნიერებამ ყველაზე დიდი დარტყმა განიცადა, ახლა ცვდილობთ, დავიბრუნოთ ტრადიციები და ჩვენი მეცნიერება ავლორძინდით. ტექნოლოგიური ცენტრს დიდი მნიშვნელობა ექნება, რადგან ამით ისარგებლებენ ქიმიკოსები, ფიზიკოსები, ჯანდაცვის და სხვა დარგების მეცნიერები და მათ ექნებათ შესაძლებლობა, მეცნიერული უნარები ალორძინდეს საქართველოში.

– პროექტის ლიდერებულზე რამდენია?

– ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროექტის ლიდერებულზე დაახლოებით 500 მლნ ევრო იქნება. ცოტა სხვაობაა პროექტებს შორის. შეიძლება განხორციელდეს ამერიკული პროექტი. კოლაიდერზეა მხოლოდ საუბარი, ხოლო მრგვალი შენობაში იქნება ლაბორატორიები, ეს ოლია და მისი მშენებლობა დაიწყება ხვალვე.

– საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ

მოწვეულია პროფესორი გია დვალა.

ბიძინა ივანიშვილი:

– ალბათ, იცით, ამ პროექტის ამაჩქარებელი თერაპია რაც იყო. ეს იქნება ძალიან დიდი

თუმცა ააშენეს, იყო სასაცილო. ტექნოლოგიური უნივერსიტეტის იდეა თავიდანვე იყო ჩემი, ეს იყო დაახლოებით 8 წლის წინ და სააკაშვილი საოცრად ალფორთვანებული იყო.

\*\*\*

პრემიერი კვირიკაშვილი დარწმუნებულია, რომ მსოფლიოში სიმსივნის მკურნალობის უახლესი მეთოდი წარმატებით დაინერგება ჩვენს ქვეყანაში და ეს ინსტიტუტი გახდება ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი რეგიონში.

გიორგი კვირიკაშვილი განსაკუთრებით გამოყოფს პროექტის ყველაზე მთავარი კომპონენტის – ნაწილაკთა ამაჩქარებლის მშენებლობის მნიშვნელობა.

პრემიერის განმარტებით, ფართო წრეებში კოლაიდერად ცნობილი ნაწილაკების ამაჩქარების კომპლექსის მშენებლობით ქართველი მეცნიერებს და მეცნიერთა ახალ თაობებს შეეძლება უშიშვნელოვნად იკვლევონ ჩატარება, მათ შორის მედიცინის, კერძოდ კი, ონკოლოგიის ანდრონული თერაპიის მიმართულებით.

– ამ მხრივ ჩვენი ტექნოლოგიური ინსტიტუტი იქნება მსოფლიოში მეხუთე იტალიის, შვეიცარიის, იაპონიისა და ავსტრიის შემდეგ, – განაცხადა ბ-მა პრემიერმა.

მთავრობამ ექსპერიმენტული კვლევითი ბაზის მშენებლობისა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში გამოცდილების გაზიარების მიზნით, ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმში გააფორმა მსოფლიოში ნაშევან ისეთ ცენტრებში, როგორებიც არის ბირთვულ კვლევათა ევროპული ცენტრი, ანდრონული თერაპიის ეროვნული ცენტრი, იტალიის ბირთვული ფიზიკის ეროვნული ინსტიტუტი და სხვა.

გაგარკელება მე-7 გვერდზე

## განცხადება-განუქება 5-20 კვ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრობატის გარეშე, რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნთქვის პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი ინმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები – ქოლესტერინისგან. ძლიერდება იმუნოლოგიური, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებიან სასურველი წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიამაღლეი ზარის უხსნასი, სწრაფი და უსაფრთხო პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსის 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მალაფეექტური გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-60 ქ003360**

მის. გიორგი „დილა“, წარმოების ქ. 142, | სართული, კაბინეტი №6 **577-29-37-41, 247-58-83**



### სასამელო ფყლის ინდუსტრია – საქართველოს ღირსეული განვითარებისათვის

მსოფლიოს ყველა განვითარებულმა ქვეყანამ ეკონომიკურ კეთილდღეობას საკუთარი ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებით მიაღწია. საქართველოს არეალში ირიცხება 450-მდე საბადო, მაგრამ ამ წიაღისეულების მოპოვებას სჭირდება ხანგრძლივი პერიოდი და დიდი თანხები, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამით ქვეყნის ბუნებას გამოუსწორებელი ეკოლოგიური ზიანი მიაღებდა.

ამრიგად, სწრაფი ეკონომიკური განვითარების მიზნით ქართველი მეცნიერების მიერ შეიქმნა ადამიანისთვის სასიცოცხლო დანიშნულების მქონე მსოფლიო დონის რესურსი - მიწისქვეშა სასმელი წყალი, რომლის სახელმწიფო მარაგების სარესურსო ფონდის ფასების ინდექსი შეადგე 2 ტრილიონ 277,4 მილიარდ აშშ დოლარს, რაც დანარჩენი სასარგებლო წიაღისეულის ჯამურ ღირებულებას ბევრად აღემატება. საქართველოში წყლის ინდუსტრიის განვითარების პრიორიტეტულობას ასევე განსაზღვრავს მსოფლიოში კატასტროფულად მზარდი მოთხოვნილება სასმელ წყალზე და ჩვენი მიწისქვეშა მარაგების დიდი რაოდენობა, მაღალი ხარისხი, განახლებადობა, კვლავ წარმოება, სიახვე, ჩადებულ კაპიტალის უკუგდების ხანმოკლე პერიოდი და კონკურენტუნარიანობა.

გაეროს მონაცემებით 2012 წლისთვის მსოფლიოს მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა კატასტროფულად შემცირდა. ყოველწლიურად ათობით მილიონი ადამიანი და 2,4 მილიონი ზევში იღუპება უწყლობით ან უხარისხო წყლისგან შექმნილი სხვადასხვა დაავადებით.

საერთაშორისო ორგანიზაციების დეკლარაციებით 2015 წლისთვის 4 მილიარდი ადამიანი უკვე აღმოჩნდა სასმელი წყლით სარგებლობის უმწვევარი დეფიციტის პირობებში, ნაცვლად გაეროს მიერ ნაგარაუდები 2025 წლისა. მსოფლიოში არსებული ქალაქების უმრავლესობა სასმელად მხოლოდ დაფასოებულ წყალს იყენებს და ასეთი მიდგომა მთელ დედამიწაზე ვრცელდება. წყლის მსოფლიო დეფიციტის ამ პირობებში ჩვენმა მეცნიერებმა, აკადემიკოს პაატა გიორგაძის ხელმძღვანელობით, მიაგნეს კონკრეტულ გზას, თუ როგორ ავუაროთ გვერდი ზაზარზე არსებულ მონოპოლისტებს (ფრანგულ და იტალიურ კონგლომერატს, რომლებიც პლანეტის მოსახლეობის ყოველწლიურ მოთხოვნას, მხოლოდ 45 დღით უზრუნველყოფენ) და როგორ გავიდეთ საერთაშორისო ზაზარზე. ეს გეგმა შეთანხმებულია საერთაშორისო საფინანსო ჯგუფებთან და ჩვენს სტრატეგიულ ინვესტორებთან. მათ დაწვრილებით შეისწავლეს ჩვენი მეცნიერების მიერ შემუშავებული კონცეფცია - პროგრამა, ჩაატარეს არსებული მარაგების ფუნდამენტური კვლევები და ხელისუფლების პოლიტიკური კეთილი ნების გამოხატვის შემთხვევაში მზად არიან 3 მილიარდი დოლარის წინასწარ ინვესტირებისთვის, რითიც უნდა გაიზარდოს საქართველოს ტერიტორიის გამტარუნარიანობა და ყველა მუნიციპალიტეტში სახელმწიფო მარაგებზე არსებულ ჭაბურღილებზე აშენდეს წყლის ჩამოსახმელ-დამფასოებელი ორი ქარხანა. ეს საშუალებას მოგვცემს ადგილზე დასაქმდეს ათი ათასობით ჩვენი თანამოქალაქე საშუალო ხელფასით 1200 აშშ დოლარის ექვივალენტით ლარებში. რაც მთავარია, ინვესტორი არ არის დანტერესებული ჩვენი წიაღისეულის ხელში ჩაგდებათ, მისთვის საკმარისია პორტამდე მივაწოდოთ ბოთლში ჩამოსხმული მზა პროდუქტი და იგი ერთ ლიტრში გადაიხდის წყლის საერთაშორისო საბითუმო ღირებულებას - 24 აშშ ცენტს.



საწყის ეტაპზე ეს მოახდენს წელიწადში 12 მილიარდი დოლარის (ბიუჯეტში 3 მილიარდის) მობილიზებას.

ინდუსტრიის აშენებისა და პროდუქციის პირველი პარტიის გატანისთანავე, კაპიტალიზაციის ტექნოლოგიების გამოყენებით, მოხდება საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე ფასიანი ქაღალდების (აქციები, ვექსილები, ობლიგაციები) მატერიალიზება და მსოფლიო ფინანსურ რესურსებში ჩარევა. ეს მოგვცემს 570 მილიარდი აშშ დოლარის გრძელვადიანი დაბალ პროცენტის კრედიტის ეტაპობრივი მოზიდვის საშუალებას. თუმცა დარგობრივი ეკონომიკის (სოფლის და სატყეო მეურნეობა, მსუბუქი და გადამამუშავებელი მრეწველობა, ენერჯეტიკა და სხ.) განვითარებისათვის ამხელა თანხა საჭირო არ არის. სამკარისია 84 მილიარდი აშშ დოლარის მოზიდვა. რაც ჩვენი ეკონომიკური აღმავლობის დასაწყისის და სახელმწიფოებრივი (რეალური) დამოუკიდებლობის აუცილებელი წინაპირობაა.

გვინდა გაცნობოთ, რომ საზოგადოების გამოჩენილი წარმომადგენლების მიერ უკვე დაფუძნდა საქციო საზოგადოება - „საქართველოს სასმელი წყლის

ინდუსტრია“, რომლის თითო აქცია ეტაპობრივად და უფასოდ დაგირიდებათ საქართველოს ყველა მოქალაქეს. ინდუსტრიის ამუშავებისთანავე 1 აქციის ნომინალური ღირებულება იქნება 50 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი. ამისათვის კი საჭიროა ამ უნიკალური შესაძლებლობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება, რათა არ დაფუძნდეთ რომ ქართველი ერის კუთვნილი ეს საერთო სახალხო სიმდიდრე ხელში ჩაიგდონ ვერძო დანტერესებულმა პირებმა. სამწუხაროდ, ამის ტენდენციას ავლენდა და ავლენს მველიც და ახალი ხელისუფლებაც. გვირფასო თანამოქალაქენო! საქართველო არ არის ღარიბი ქვეყანა. საქართველო მსოფლიოში ერთერთი ყველაზე დიდი სიმდიდრის მფლობელი ქვეყანაა, რაც ღვთის უდიდესი წყალობაა, ოღონდ საჭიროა ამ რესურსის რაციონალურად გამოყენება.

ერთად ვიზრუნოთ ღვთისგან ნაწყალობევი ამ სიმდიდრის რაციონალურად გამოსაყენებლად და საქართველოს ღირსეული განვითარებისათვის!

„მეფეს სხვა მადლი აქვს: სანამ ზაგრაგოვანი მეფე არ დაუბრუნდნა, საქართველოს არაფერი ეძველება! მეფის მოსვლამდე კი, ცხახტი აღადგინეთ! კარგ ჰრეზიდენტს წუდი მეფე გერჩინოთ. რადგან მთავარია ღვთის მადლი გადმოვიდეს ერზე.“



ნმ. ღირსი მამა ვაზირიელი აღმსარებელი-სალონი



სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა! ჩვენთან არს ღმერთი! დღეს არის ბედნიერი დღე და ისტორიული დღე. უფლისწული გიორგი მთისათლა ამ წმინდა ტაძარში, სადაც განსვენებულნი არიან მისი წინაპრები.

აი, დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ ვფიქრობთ იმის შესახებ, თუ ვინ ვიყავით ჩვენ, დღეს ვინ ვართ და ხვალ ვინ ვიქნებით.

და აი დღეს მივეულოცავ საქართველოს აი ამ დიდ მოვლენას. რაც შეეხება ნათლობას, ასეთი ნათლობა არ ყოფილა 1801 წლიდან და მადლობა უფალს, რომ უფალმა ძალი ერსა თვისსა მისცეს და უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვედობით.

უწმიდესი და უნეტარესი კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე 2013 წლის 3 ნოემბერი მცხეთა. სვეტიცხოველი



### ქვეყანას, რომელსაც არა აქვს მცირე მენარჩეობა, არა აქვს მომავალი!

ეს არის საყოველთაოდ აღიარებული მსოფლიო ჭეშმარიტება. სამწუხაროდ, დამნაშავე ნაციონალურ პარტიასთან კოპაბიტირებულმა ქართულმა ოცნებამ დაივიწყა ეს უდაო ჭეშმარიტება და თავის 4-წლიან სახელისუფლებო მმართველობას ამთავრებს 1998 წელს დაარსებული ჩვენი ასოციაციის დიდი ძალისხმევით 1999 წელს მიღებული და 2006 წელს ნაციონალისტების მიერ დანაშაულებრივად გაუქმებული მცირე მენარჩეობის ერთადერთი კანონის გარეშე. საქართველო კვლავ რჩება მსოფლიოში დასაქმებულთა 90%-ის დამსაქმებელი მცირე მენარჩეობის ალდგენისა და მომავლის პერსპექტივის გარეშე!

სამწუხაროდ, ქართულმა ოცნებამ უარი თქვა ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღეებში შეთავაზებულ, ჩვენს მიერ აკადემიურ დონეზე დამუშავებულ-დაბატენტებულ (საქპატენტის მონომბა №6333), ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტის აკადემიკოს ლეო ჩიქავას მიერ მოწოდებულ, 57-გვერდიან, 64 გამოყენებული ლიტერატურით, 700-ზე მეტი გამოყენებული პუბლიკაციათა და ინტელექტუალური საკუთრების 6 საქპატენტის მონომბით გამყარებულ ჩვენს სამეცნიერო-მეთოდურ ნაშრომზე: „საქართველოს ანტიკრიზისული 5-წლიანი კომპლექსური ეკონომიკური რეფორმების კონცეფცია-პროგრამა“, რომელიც განთავსებულია ჩვენი ასოციაციის ფეისბუქზე და პოლიტიკური პარტიის „ქართული იდეის“ საიტზე.

ეს „კონცეფცია-პროგრამა“ შედგება 6 ახალი ეკონომიკური რეფორმისაგან, რომელთაგან 5 რეფორმა ემსახურება მცირე მენარჩეობის, ანუ დასაქმებისა და სახელმწიფოს მიზეზით დაზარა-

ლებულთა ზარალის ანაზღაურების, ანუ სამართლიანობის აღდგენის ძირითადი კომპლექსური ეკონომიკური რეფორმის განხორციელებას. ამ „კონცეფცია-პროგრამის“ პრაქტიკული რეალიზაცია შესაძლებელია 5 სამეურნეო წლის განმავლობაში, რაც საშუალებას მოგვცემს საქართველოში რეალურად დავიწყოთ, დავალაგოთ და მოვაგვაროთ პროდუქციის მწარმოებელი მცირე მენარჩეობის (სადაც 10 დასაქმებული არასამეწარმეო ბიზნესებში ავტომატურად დამატებით ქმნის 50 ახალ სამუშაო ადგილს) და სახელმწიფოს მიზეზით დაზარალებულთა ზარალის ანაზღაურება-კომპენსაციის 2 უდიდესი, ქართველი ხალხის სიკვდილ-სიცოცხლის ტოლფასი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა.

პარტია „ქართული იდეის“ პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან ჩვენ უკვე გადანყვებილი გვაქვს უახლოეს მომავალში გავაფორმოთ შესაბამისი მემორანდუმი და პარტიის ახლადგახსნილ ოფისებში ერთობლივად დავიწყოთ „კონცეფცია-პროგრამის“ პრაქტიკული რეალიზაცია. ამასთან დაკავშირებით, მოგმართავთ „კონცეფცია-პროგრამით“ დაინტერესებულ მცირე მენარჩეობასა და სახელმწიფოს მიზეზით დაზარალებულებს: ჩვენ სისტემატურად მოვანვლით ახალ ინფორმაციებს სამშაბათობით გაზეთით „ახალი თობა“ და შაბათობით სატელევიზიო არხით „დრო“ საღამოს 8 საათზე დაწყებულ 3-საათიან გადაცემაში.

ანზორ საპანდელიძე თავისუფალ მცირე მენარჩეობასოციაციის თამაჯდომარე, ტექნ. მეცნ. დოქტორი







ჩატარდა თურქეთის მმართველი პარტიის „სამართლიანობა და განვითარების“ ყრილობა. აირჩიეს ახალი ლიდერი. როგორც მოსალოდნელ იყო, ეს პოსტი ბინალი ილდირიმმა დაიკავა. მმართველი პარტიის ლიდერად არჩევა ნიშნავს იმასაც, რომ ილდირიმში თურქეთის პრემიერ-მინისტრის პოსტს დაიკავებს. ამრიგად, უკვე შეიძლება ითქვას, რომ თურქეთს ახალი პრემიერი ჰყავს.

პრეზიდენტი ერდოღანსა და ან უკვე ყოფილ პრემიერ დავუთოლლუს შორის არსებული უთანხმოება თურქეთის სახელმწიფოს გახლენით ემუქ

### თურქეთს ახალი პრემიერი ჰყავს

რებოდა. ეს სირიაში ომს და რუსეთთან გამჭაფრებულ ურთიერთობებს დაემთხვა, რასაც ქურთებთან დაპირისპირებაც დაემატა. სირიაში ქურთული ანკლავის გაჩენამ ლოგიკურად გამოიწვია ქურთი ექსტრემისტების გააქტიურება. თურქეთი ტერაქტების მთელმა ტალღამ მოიცვა.

– ასეთ სიტუაციაში აუცილებელია ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების არსებობა, – განაცხადა პრეზიდენტმა ერდოღანმა.

ბინალი ილდირიმი, რომელსაც დავუთოლლუს მთავრობაში ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის პოსტი ეკავა, ამას მთლიანად ეთანხმება. თავისი პოზიცია მან მმართველი პარტიის ყრილობაზეც გაიმყარა. ილდირიმმა შეკრებილთ შესთავაზა, რაც შეიძლება სწრაფად მიეღობოთ გადაწყვეტილება და არსებული სახელმწიფო მოდელი – საპარლამენტო რესპუბლიკა, საპრეზიდენტოთი შეეცვალოს.

ილდირიმმა თურქეთში დღეს

### ოზამა ბინალანს ესტუმრა



აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ოზამა სამდღიანი ვიზიტით პანოში ჩავიდა. უურნალობისგან საუბარში მან განაცხადა, რომ ვიეტნამს განიხილავს, როგორც აშშ-ს პარტნიორ ქვეყანას.

– არასოდეს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა არ ყოფილა ისეთი თბილი, როგორც ახლა, – თქვა ოზამამ.

პრეზიდენტმა ალიშმა, რომ მხარს უჭერს აშშ-ვიეტნამს შორის ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას, კერძოდ, გაუქმდება ემბარგო ვიეტნამისთვის იარაღის მიწოდებაზე.

– დღეს ვიეტნამი ჩვენი მეგობარია, – თქვა ოზამამ.

ვიეტნამის ომის შემდეგ ოზამა მესამე პრეზიდენტი, რომელიც ვიეტნამს ესტუმრა. პირველი ვიზიტი ვიეტნამში, რითაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დალაგება დაიწყო, ბილ კლინტონმა განახორციელა.

### გორბაჩოვი უბინს მხარს უჭერს



სსრკ-ს პირველმა და უკანასკნელმა პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა პუტინისადმი მხარდაცხარა საჯაროდ დააფიქსირა.

მიხეილ სერგევიჩმა ყირიმის ანექსიას ისტორიულად გამართლებული ნაბიჯი უწოდა.

– მე რომ პუტინის ადგილას ყოფილიყავი, ზუსტად ასევე მოვიქცეოდი, – თქვა გორბაჩოვმა.

### ლუკაშენკო იტალიასა და პაპიანს ესტუმრა

ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო იტალიასა და ვატიკანს ესტუმრა. რომში ის იტალიის პრეზიდენტ სერჯი მიტარელის შეხვდა, შემდეგ კი – რომის პაპს.

– ეს სანქციების მოხსნის შემდეგ ევროპაში ჩემი პირველი ვიზიტია, – თქვა ლუკაშენკომ.

მან ალიშმა, რომ სურს ევროპასთან ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება, თუმცა ექსპერტები თვლიან, რომ ამ მიზანს მან ვერ მიაღწია.

ჟურნალისტებთან საუბარში ლუკაშენკომ თქვა, რომ როგორც კათოლიკური, ისე მართლმადიდებლური ეკლესიები დონბასის კრიზისის მოგვარებაში უფრო აქტიურად უნდა ჩაერთონ.



– მე საგანგებოდ მოვიწვიე მინსკში რომის პაპი და რუსეთის პაპიარქი, რათა განიხილონ კონკრეტული ნაბიჯები დონბასში მშვიდობის აღსადგენად, – თქვა ლუკაშენკომ.

### ბრამპი: „სკოლის მასწავლებლებს იარაღი უნდა დაურიგონ!“

აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატმა რესპუბლიკური პარტიიდან დონალდ ტრამპმა მორიგი ექსცენტრიკული განცხადება გააკეთა.

მან თქვა, რომ სკოლაში მასწავლებლებს ცეცხლსასროლი იარაღი უნდა დაურიგონ.

– თუკი მოსწავლეები შეიარაღებული არიან, პედაგოგსაც უნდა ჰქონდეს საშუალება, თავი დაიცვას, – თქვა ტრამპმა.



**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-ლიანგოსიპური სენზორი „კალკი“ მთავარობით**

**მალსახარისხიანი და სრულფასოვანი მკურნალობის შემდეგ დაავადებუნი!**

### ტაჯიკეთი: რაპრონი მუღივი პრეზიდენტი იქნება

ტაჯიკეთში ჩატარდა რეფერენდუმი ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. როგორც მოსალოდნელ იყო, მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ცვლილებებს, რაც პრეზიდენტ რაპრონს საშუალებას აძლევს, პრეზიდენტის პოსტზე კენჭი დაუსრუ-

ლებლად იყაროს. მოსახლეობამ ასევე მხარი დაუჭირა მეორე მუხლს, რომლის ძალითაც, ტაჯიკეთის პრეზიდენტად შეიძლება 30 წლის მოქალაქე აირჩიოს.

ეს მუხლი რაპრონს იმისთვის სჭირდება, რომ პრეზიდენტობა თავის ვაჟს, რუსტამს გადააბაროს.



**პრეზიდენტი იქნება**

ერაყის არმიამ დაიწყო ქალაქ ფილუჯას შტურმი. ის ბაღდადიდან 65 კმ-ის დაშორებით მდებარეობს.

ფილუჯას 2014 წლიდან ისლამური სახელმწიფოს ჯარისკაცები აკონტროლებენ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

**უნივერსალური თმის საკრავი 25 ლარი 65 ლარის ნაცვლად!**

აღწერა:

- კრეჭვის დონის 5 საფეხურიანი მარეგულირებელი
- ძრავის ხმაურის დაბალი დონე
- ძრავის ბრუნის 1000 1/წთ
- სანმენდი ჯაგრისი
- მაკრატელი
- დანების ზეთი
- 4 საკრეჭი თავი
- მასალა-უფანგავი ფოლადი
- მოდელი sk305

**გზის სანათი 25 ლარი 50 ლარის ნაცვლად**

საშუალებას მოგვცემთ მინიმალური დანახარჯებით მიიღოთ სასურველი განათება ნებისმიერ ადგილას:

- აკუმულატორის დამუხტვა შესაძლებელია შემდეგი წყაროებით: მზის ენერჯია, დენის წყარო, ელემენტი და ხელის მოძრაობით;
- აკუმულატორის მუშაობის ხანგრძლივობა: 24 საათი. შეგიძლიათ დატენოთ ნებისმიერი უსმ მონწყობილობა, მობლური, აიპოდი და სხვა

მალაზია Stop&Shop  
დარეკეთ წინასწარ ☎: 2-182-186.  
მის: ვაფა-ფაშაველას №79, (უკანა შარე)  
579 885 996

**პრეზიდენტი იქნება**

**იყიდება**

• იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5\$; 593 50-16-08.

**მკურნალობა**

• ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივი კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლებით ტკივილებსაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

• ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესუალურ უმცურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

• ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძ-

ლის განმედა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევით უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

• მესხიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბოზის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვოვანი სისტემის განმედა ქოლესტერინისაგან, წნეების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

• იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარებაც!), შარდვის მოშლა-გახსნის, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკური) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

• კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო განმედა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

